ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №389359

ნომერი: AR184488

თარიღი : 04.10.2012

გაცემის თარიღი : 15.10.2012

გაცნობის თარიღი : 19.10.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 16 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მასხულია პ/ნ 01015003627
- თბილისი მტკვრის ქ. N 6 ბ. 5

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ივანე იოსელიანი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404424324
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: "tbilisi foods and beverages company"
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01012015603

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი მასხულია

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს დებულების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაშიშექმნილ სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო– მეთოდურ საბჭოს (ოქმი N41, 09.10.2012წ), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, რუსთაველის გამზირის N16–ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობის საკითხს. (რეკომენდაცია: სარეკლამო აბრა მოეწყოს ღიობის სიბრტყეში შუშის ფონზე) სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. გ. მასხულიას უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქ. გ. მასხულიას ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, რუსთაველის გამზირის N16–ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობის წარმოდგენილი ვარიანტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.